ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №110

29 აპრილი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის, სატრანსპორტო და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

2. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.(№11-01211163820;11-01211184153;11-012111332692;საკრებულოს№15-03211171-03;15-0321118127-03;15-032111367-03)

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ (12-032111683-03)

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.(12-032111683-03)

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა/ოჯახთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის # 17-66 დადგებილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. 12 -0321118135-03; 12-031927772-03

დღის წესრიგი დამტკიცდა

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 12 000,0 ათასი ლარით, გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 30 000,0 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის N632 განკარგულებით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით), სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები - 800,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 1,100.0 ათასი ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან) - 24,000.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 11 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 78,900.0 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 310,3 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 495,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 11) – 583,9 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 8 835,5 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 17 260,3 ათასი ლარით, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) – 11 639,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 2 259,8 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებების (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 517,9 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნება - 2 000,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 231,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება - 4 120,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 7 400,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) ქვეპროგრამის ასიგნება - 300,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 250,0 ათასი ლარი (ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალში რემონტი), აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 400,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 1 800,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 149,7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 375,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 14,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 154,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 23,6 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 39,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 51,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 60,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 66,6 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 500,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 500,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 03) – 1 300,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 1 000,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 06 08 04) – 6 108,6 ათასი ლარი, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნება - 1 000,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 164,5 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 7 638,5 ათასი ლარი.

გარდა ამისა, ბიუჯეტით განსაზღვრულ ჩამონათვალს დაემატა ახალი პროგრამა - 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნება – 583,9 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) პროგრამის ასიგნება - 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) ქვეპროგრამის ასიგნება - 231,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 495,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) – 300,0 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 500,0 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნება - 3 630,0 ათში ლარი,

ასევე, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით და შეადგენს 140 ერთეულს.

ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

მომხრე -8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი - ლევან მიქავა.

შესათანხმებლად წარმოდგენილია დიდუბის, გლდანისა და საბურთალოს რაიონის გამგეობების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები.

კერძოდ „ომის ვეტერანების დახმარების" პროგრამაში გლდანის რაიონის გამგეობას მეორე კვარტალში გადმოაქვს 300 ლარი მეოთხე კვარტლიდან, ხოლო საბურთალოს გამგეობას 1050 ლარი მეოთხე კვარტლიდან.

„გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებების" პროგრამაში გლდანის რაიონის გამგეობას მეორე კვარტალში ესჭიროება დამატებით 2100 ლარი, ხოლო საბურთალოს რაიონის გამგეობას 100 ლარი. თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

ასევე წარმოდგენილია დიდუბის რაიონის გამგეობის მოთხოვნა „სხვა სოციალური დახმარების" პროგრამაში მეორე კვარტლის 200 000 ლარით გაზრდის თაობაზე.

კვარტალური ცვლილებები განპირობებულია აღნიშნულ პროგრამებში მეორე კვარტალში არასაკმირისი თანხების გამო.

მომხრე -8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს, გლდანის და დიდუბის რაიონის გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის"

დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი, ხოლო, მე-5 მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილება, ხოლო "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონი ძალადაკარგულია 2014 წლის 5 თებერვლიდან.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ეტაპზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით, განიხილება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აუცილებელია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესები, რომელიც შეესაბამება დღეს მოქმედ კანონმდებლობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილების, შესაბამისად, შემუშავებულ იქნა:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა;

გ) სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;

დ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის რეესტრის ფორმა;

ე) გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობების ჩამოწერის აქტის ფორმა;

ვ)დაბრუნებული, გაუქმებული და გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობების რეესტრის ფორმა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი ირაკლი თავართქილაძე.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა, ამავე დადგენილების დანართი №2 ის შესაბამისად.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სანებართვო მოწმობის ფორმის ნიმუში, ენის სისწორის თვალსაზრისით, შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან..

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმის (შესაბამისი დამცავი მექანიზმების მითითებით) რეგისტრაციის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში გადაგზავნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უზრუნველყოფს, "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისი, სპეციალური ნორმატიული აქტის (დადგენილების) მიღებას, რომლითაც მათ შორის, დამტკიცდება სანებართვო მოწმობის ფორმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დადგენილების პროექტის შესაბამისად, ხორციელდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილების მე-4 პუნქტის ამოღება, ვინაიდან არ არსებობს ერთი და იმავე საკითხის ორი ნორმატიული აქტით რეგულირების საჭიროება.

მომხრე - 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართილაძის განმარტებით,"ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 3 ივნისის QN1209665 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „PP"-ს (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 49 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა 3–ის მიმდებარედ 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.010), 584 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.011) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.012) და 327კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.013) (შემდგომში - „აღნაგობის საგანი"), მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 8 ივლისის N18.10.832 დადგენილებისა და სააგენტოს 2014 წლის 23 ივლისის QN1234067 და 2014 წლის 6 ოქტომბრის NQN1245809 გადაწყვეტილებების საფუძველზე შპს „PP"-ს მიეცა თანხობა აღნაგობის საგანის იპოთეკით დატვირთვაზე სს „ბანკ ქართუ"-ში, სესხის მიღების სანაცვლოდ. შემდგომში, ვინაიდან შპს „PP"-მ ვერ დაფარა სესხი, იძულებითი აღსრულების შედეგად მოაღნაგე გახდა სს „ბანკი ქართუ. აუდიტორული დასკვნების თანახმად, აღნაგობის საგანზე აღნაგობის უფლებით გადაცემის წლიური ქირა 1 კვ.მ-ზე განისაზღვრა 36.80 ლარის ოდენობით.

ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტების თანახმად, მთლიანად გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე (ჯამში 1,118 კვ.მ) სარგებლობის ყოველწლიური საფასური განისაზღვრა 42,000 ოდენობით, რომელიც მოაღნაგემ უნდა გადაიხადოს წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, 1 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის წლიური ქირა შეადგენს 37.5670 ლარს.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა 3–ის მიმდებარედ 584 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.011) გაიმიჯნა 2 კვ.მ ფართის N01.18.03.011.033, 98 კვ.მ ფართის N01.18.03.011.032 და 484 კვ.მ ფართის N 01.18.03.011.031 საკადასტრო ერთეულებად.

N01.18.03.011.032 საკადასტრო ერთეული ასევე გაიმიჯნა 70 კვ.მ ფართის N01.18.03.011.039 და 28 კვ.მ ფართის N01.18.03.011.040 საკადასტრო ერთეულებად. ამასთან, 47 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.012) გაიმიჯნა 21 კვ.მ ფართის N01.18.03.011.035 და 26 კვ.მ ფართის N01.18.03.011.034 მიწის ნაკვეთებად. ხოლო ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა 3–ის მიმდებარედ 327კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.013) გაიმიჯნა 7 კვ.მ ფართის N01.18.03.011.028 და 320 კვ.მ ფართის N01.18.03.011.027 მიწის ნაკვეთებად.

სააგენტოს 2021 წელს განცხადებით მიმართა შპს „საყვავილემ" (ს/ნ: 405317731) და მოითხოვა ქ. თბილისში, ვეკუას ქ. N3-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.022) მიერთების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.039) აუქციონის ფორმით შესყიდვა.

N01.18.03.011.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოიქმნა აღნაგობის უფლებით გადაცემული N01.18.03.011.011 საკადასტრო კოდის გამიჯვნის შედეგად, შესაბამისად, მასზე რეგისტრირებულია აღნაგობის უფლება.

სააგენტომ მოაღნაგეს გაუგზავნა წერილი, N01.18.03.011.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასვიხსებასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირების თაობაზე. ამასთან, სააგენტომ მოაღნაგეს აცნობა, რომ წერილში დასმულ საკითხზე მისი თანხმობის შემთხვევაში, ცვლილება შევიდოდა აღნაგობის ხელშეკრულებაში, შეიცვლებოდა გადაცემული ქონების ფართობი და წლიური აღნაგობის საფასური ფართობის პროპორციულად. ხოლო, 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში, 70 კვ.მ ფართზე აღნაგობის ხელშეკრულების მხარე გახდებოდა აუქციონში გამარჯვებული პირი.

მოაღნაგემ წერილით სააგენტოში წარმოადგინა თანხმობა N01.18.03.011.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან და აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს აპრილში გამოცხადებული აუქციონის ლოტზე განიკარგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.18.03.011.039). ხოლო, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „საყვავილე" (ს/ნ: 405317731)).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის "ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულთან გაფორმდება ხელშეკრულება და გაიცემა საკუთრების მოწმობა. განსახორციელებელი ცვლილებების ფარგლებში, იცვლება აღნაგობის საგანის ფართობი (მცირდება 70 კვ.მ ფართობით), ასევე, მცირდება წლიური აღნაგობის საფასური გადაცემული ქონების ფართობის პროპორციულად, კერძოდ, ჯამში 1118 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნაგობის წლიურ საფასურს - 42,000 ლარს აკლდება 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნაგობის საფასური - 2,629.70 ლარი და დარჩენილ, ჯამში 1,048 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განისაზღვრება აღნაგობის საფასური - 39,370.30 ლარის ოდენობით.

მომხრე - 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა/ოჯახთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის # 17-66 დადგებილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი ირაკლი თავართქილაძე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, დაზარალებული პირები (ოჯახები), რომელთა მიმართ მიმდინარეობს დახმარება იყოფიან კატეგორიებად: ა) I კატეგორია - დაზარალებული პირი (ოჯახი), რომლის საცხოვრებელი სახლი დანგრეულია ან დაზიანებულია სტიქიის შედეგად და არ ექვემდებარება რეაბილიტაციას და ბ) II კატეგორია - დაზარალებული პირი (ოჯახი), რომლის საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია სტიქიის შედეგად, თუმცა ექვემდებარება რეაბილიტაციას. სწორედ აღნიშნული კატეგორიების მიხედვით/გათვალისწინებით ხორციელდება დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარების პროცედურები. წესის თანახმად, I კატეგორიის დაზარალებულ პირებს (ოჯახებს), ვინაიდან მათი საცხოვრებელი სახლი/ბინა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, ფულადი დახმარების სახით გადაეცემათ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულება, მითითებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის დათმობის სანაცვლოდ. ხოლო, ვინაიდან II კატეგორიის დაზარალებული პირების საკუთრებაში/ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლი/ბინა ექვემდებარება რეაბილიტაციას, შესაბამისი რაიონის გამგეობა უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას საცხოვრებელი სახლის/ბინის რეაბილიტაციის მიზნით. თუმცა წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სახლის/ბინის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება, შემფასებლის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის მიხედვით, აღემატება დაზარალებულ პირთა საკუთრებაში/ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულების 50%- ს ან/და მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული

საცხოვრებელი სახლი/ბინა მდებარეობს სტიქიური უბედურების ზონაში, მათ როგორც I კატეგორიის დაზარალებულებს გადაეცემათ ფულადი თანხა და ვრცელდება უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისათვის დათმობის პირობები. თუმცა არსებობენ დაზარალებული პირები, რომელთაც არ სურთ ისარგებლონ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პირობით, როგორც I კატეგორიის დაზარალებულებულებმა მიიღონ ფულადი დახმარება და ითხოვენ უძრავი ქონების საცხოვრებელი სახლის/ბინის საკუთრებაში დატოვებას. შესაბამისად მიზანშეწონილია ასეთ პირებს (ოჯახებს) საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გადაეცეთ ფულადი დახმარება - საცხოვრებელი სახლის/ბინის (შენობა-ნაგებობის) სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულების ოდენობით, რათა მათ განახორციელონ არსებული სახლის რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა.

უნდა აღინიშნოს რომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების შესაბამისად, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 – 2019 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან, თუმცა დაზარალებულ პირთა დახმარება კვლავ მიმდინარეობს და ამ ეტაპზე პროცესი არ დასრულებულა, რადგან კონკრეტულ შემთხვევებში დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობს მოცულობითი დოკუმენტაციის უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარდგენას, მათ შეფასებას, გარემოებათა გამოკვლევას და გადაწყვეტილებების მიღებას, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაზარალებულთა დახმარების გაგრძელება 2021 წლის 30 დეკემბრამდე.

მომხრე - 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე.**